განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:
ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეგლამენტის პროექტი:

რეგლამენტის პროექტის ინიციირება განპირობებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული რიგი პროცედურების დაზუსტების, გაუმჯობესებისა და გამარტივების საჭიროებით. ამასთანავე, პარლამენტის რეგლამენტის ცალკეული ნორმებით გათვალისწინებული საკითხები საჭიროებს უფრო მკაფიო სამართლებრივ მოწესრიგებას, რისი განხორციელებაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარებას.

რეგლამენტის პროექტი მიზნად ისახავს სხვადასხვა პროცედურული საკითხის უკეთ მოწესრიგებას, საპარლამენტო სუბიექტების საქმიანობის ხელშეწყობას და, ზოგადად, პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

ამრიგად, რეგლამენტის პროექტის მიღების შედეგად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი გახდება უფრო მკაფიო, სამართლებრივად და პროცედურულად უფრო დახვეწილი და პრაქტიკულ საკითხებთან უფრო მეტად შესატყვისი. წარმოდგენილი ცვლილებების მიღება ხელს შეუწყობს შესაბამისი პროცედურების შეუფერხებლად განხორციელებასა და პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

რეგლამენტის პროექტის მიღების შედეგად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი გახდება უფრო მკაფიო, სამართლებრივად და პროცედურულად უფრო დახვეწილი და პრაქტიკულ საკითხებთან უფრო მეტად შესატყვისი. წარმოდგენილი ცვლილებების მიღება ხელს შეუწყობს შესაბამისი პროცედურების შეუფერხებლად განხორციელებასა და პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს ძირითადად შემდეგ ცვლილებებს:

- ზუსტდება პარლამენტის პლენარული სხდომის, პარლამენტის ბიუროს და სხვა ცალკეული საპარლამენტო სუბიექტების მიერ სხვადასხვა ფაქტის ცნობად მიღების პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ძირითადად ტერმინოლოგიურ ცვლილებას მოიცავს, კერძოდ, ტერმინი „ცნობად მიღება“ იცვლება მსგავსი შინაარსის სხვა ტერმინოლოგიით; ამასთანავე, რიგ შემთხვევებში იცვლება ან ზუსტდება აღნიშნული საპარლამენტო სუბიექტების მიერ ცნობად მიღებული ინფორმაციის სამართლებრივი შედეგების ამოქმედების დრო. ზუსტდება აგრეთვე უფრაქციო პარლამენტის წევრის კომიტეტში გაწევრების პროცედურა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიერ უფლებამოსილების შეძენის დრო.

- ნორმა, რომელიც ადგენს, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 15 საათიდან 16 საათამდე ცხადდება შესვენება, იცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სხდომის თავმჯდომარე საჭიროებისამებრ აცხადებს შესვენებას.“

- პარლამენტის ბიუროს ენიჭება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომის პარლამენტის პლენარული სხდომების კვირის სხვა დღეს გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

- კანონპროექტის ინიციატორს ენიჭება კანონპროექტის მესამე მოსმენით მიღებამდე მისი გათხოვის უფლებამოსილება, რომელიც მას, მოქმედი ნორმის თანახმად, კანონპროექტის მხოლოდ პირველი მოსმენით მიღებამდე აქვს.

- განისაზღვრება, რომ წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტებისა და პარლამენტის დადგენილებების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი გავრცელდება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზედაც, რომლებიც რატიფიცირებისთვის, შეერთებისთვის, დენონსირებისთვის ან გაუქმებისთვის წარედგინა პარლამენტს.

- ზუსტდება ნორმები, რომლებიც კანონპროექტის თაობაზე შენიშვნის გამოთქმის საკითხს აწესრიგებს.

- განისაზღვრება, რომ საკანონმდებლო პაკეტის მესამე მოსმენით განხილვის დასრულების შემდეგ საკანონმდებლო პაკეტში შემავალ იმ პროექტებზე (მათ საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტებზე), რომელთა მისაღებად თანაბარი რაოდენობის ხმებია საჭირო, კენჭისყრა ერთიანად გაიმართება, თუ კენჭისყრაში მონაწილე პარლამენტის რომელიმე წევრი კენჭისყრის წინ არ მოითხოვს

აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალ თითოეულ პროექტზე კენჭისყრის ცალკე გამართვას.

- ზუსტდება კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების წესი; კერძოდ, განისაზღვრება, რომ თუ კანონპროექტის თაობაზე მიღებულია დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება და დაიწყო მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ იმავე კვირის განმავლობაში იგი არ იქნა მიღებული სამივე მოსმენით, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად მისი განხილვა შეიძლება გაგრძელდეს დაჩქარებული წესით მომდევნო პლენარული სხდომის (სხდომების) კვირაში.

- რედაქციული და შინაარსობრივი თვალსაზრისით იხვეწება და უმჯობესდება ინტერპელაციის საკითხის მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის, იცვლება ან ზუსტდება ინტერპელაციასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, კერძოდ:
  - ინტერპელაციის გამართვის დღედ ოთხშაბათსა და ხუთშაბათთან ერთად დგინდება სამშაბათიც;
  - ინტერპელაციის წესით წერილობითი შეკითხვის დასმის მაქსიმალური ზღვრული დრო – პარლამენტის მორიგი სხდომების კვირის წინა კვირის ოთხშაბათის 12 საათი – ხანგრძლივდება იმავე ოთხშაბათის დღის ბოლომდე, ხოლო აღნიშნული შეკითხვის მისი ადრესატისთვის გადაცემის მაქსიმალური ზღვრული დრო – პარლამენტის მორიგი სხდომების კვირის წინა კვირის ოთხშაბათი – ხანგრძლივდება იმავე ოთხშაბათის მომდევნო დღის ბოლომდე;
  - ზუსტდება, რომ ინტერპელაციის გამართვის დღეს პარლამენტის პლენარული სხდომა შეიძლება სხვა საკითხების განხილვით დაიწყოს და გაგრძელდეს ინტერპელაციით. ამასთანავე, ზუსტდება, რომ ინტერპელაციის გამართვის დროს წერილობითი შეკითხვის ავტორსა და ადრესატთან კონსულტაციის საფუძველზე განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო.

- ზუსტდება პარლამენტისთვის წარდგენილი ცალკეული ანგარიშების პლენარულ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებული საკითხი.

- იცვლება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის – მეურვის არჩევის წესი; კერძოდ, სხვადასხვა პროცედურული საკითხის დახვეწასთან ერთად უქმდება მეურვეობის კანდიდატების შემრჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის პროცედურა, მეურვეობის კანდიდატებს კი მათი წარდგენის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები თავიანთი შეხედულებით წარადგენენ. ამასთანავე, მეურვის კანდიდატურის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის შესწავლისა და განხილვის უფლებამოსილება ენიჭება პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს. პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი განახორციელებს აგრეთვე მეურვეობის კანდიდატის კომიტეტის საჯარო

სხდომაზე მოსმენას და გასცემს რეკომენდაციას მეურვეობის კანდიდატის მეურვედ არჩევის ან არჩევაზე უარის თქმის თაობაზე.

- ზუსტდება საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის პროცედურა; კერძოდ, განისაზღვრება, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიმართვის დასრულებით აღნიშნული პროცედურა სრულდება. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება პარლამენტის პლენარული სხდომის გაგრძელება და სხვა საკითხების განხილვა.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

რეგლამენტის პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს წარმოდგენილი ცვლილების 2026 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებას, რადგან, რეგლამენტის პროექტის მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების ამგვარი ვადის დადგენა. რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების საჭიროება განპირობებულია ძირითადად იმ გარემოებით, რომ საქართველოს პარლამენტის მიმდინარე საგაზაფხულო სესია დასასრულს უახლოვდება, ხოლო რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, რომლებიც პარლამენტის საქმიანობის გაუმჯობესებას ემსახურება, მიზანშეწონილია, დროულად ამოქმედდეს და მათი მიღება არ გადაიდოს საშემოდგომო სესიისთვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რეგლამენტის პროექტი დაჩქარებული წესით იქნეს განხილული და მიღებული.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეგლამენტის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსებასთან.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

რეგლამენტის პროექტს არ აქვს ფინანსური გავლენა იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეგლამენტის პროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეგლამენტის პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. რეგლამენტის პროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგლამენტის პროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, დავით მათიკაშვილი, იმედა ნიკურაძე, აკაკი ალადაშვილი, გრეტა წიწავა, გიორგი კახიანი.

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, დავით მათიკაშვილი, იმედა ნიკურაძე, აკაკი ალადაშვილი, გრეტა წიწავა, გიორგი კახიანი.